სამშაბათი

1კორ 2,10-16; ფს 144; ლკ 4,31-37

ჩვენ მივიღეთ არა ამაქვეყნის სული, არამედ სული ღვთისა 1კორ 2,12

წუთისოფლის სული უარყოფს იესოს, დასცინის მის სიწმიდეს. ამგვარად ვლინდება კაპერნაუმის სინაგოგაში, როდესაც უფალი უბრძანებს მას, დადუმდეს და გავიდეს იმ კაციდან, რომელშიც დაბუდებულიყო. ღვთის სულია რომ გვაგებინებს, რომ იესომ უნდა დაგვმოძღვროს. ღვთის სულის წყალობით ვგებულობთ მის საიდუმლოს, რასაც წუთისოფელი დასცინის და არაფრად აგდებს.

2020 ოთხშაბათი

1კორ 3,1-9; ფს 32; ლკ 4,38-44

თქვენა ხართ ღვთის ყანა 1კორ 3,9

ამგვარად ასრულებს მოციქული თავის მსჯელობას: ყოველივე შინაგანი შრომის შემსრულებელი თავად ღმერთია, თუმცა საამისოდ ადამიანთა ხმას იყენებს. ამათ არ უნდა დაიკვეხნონ და არც არავინ უნდა შემოსვას ისინი კვარცხლბეკზე ამის გამო. ყველანი ვგავართ პეტრეს სიდედრს: ვემ-სახურებით უფალს მხოლოდ იმიგომ, რომ მან წამოგვაყენა ჩვენი უძლურებიდან.

3 სექტემბერი

2020

რიგითი XXII კვირა [II]

წმ. გრიგოლ დიდი, პაპი და მოძ., +604, (მ), თ;
(21.VIII) წმ. სარმეან კათ., +779;
წმ. ღირსი თადეოზ (თათე) სტეფანწმიდელი, მონაზ., VIს

ხუთშაბათი

1კორ 3,18-23; ფს 23; ლკ 5,1-11

ამ სოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე 1კორ 3,19

ამ ჭეშმარიტებაში რწმუნდება პეტრე ტბაზე. მისი სიბრძნე ხელს შეუშლიდა დაჰყოლოდა იესოს. მხოლოდ იმიტომ, რომ მის სიტყვას დაჰყვა, ბადე აევსო თევზით, როგორც არასდროს მანამდე. უცნაურია ღვთიური სიბრძნე, და გასაოცარი!

4 სექტემბერი

2020

რიგითი XXII კვირა [II], მწ

პარასკევი

1კორ 4,1-5; ფს 36; ლკ 5,33-39

იგი გამოაჩენს გულის ზრახვებს 1კორ 4,5

უფალია რომ იცნობს ადამიანის გულებს,
ამიტომაა ერთადერთი მათი განსჯა
რომ შეუძლია. ამის ჩაბეჭდვა მართებთ
გონებაში ფარისევლებს, რომლებსაც
ჰგონიათ, რომ ყველას განსჯა შეუძლიათ,
თავად უფლისაც! იგი აცხადებს
სიახლეს: ახლა რაკი თავადაა ღმერთის
წარმომადგენელი, ისრაელის ნეფე,
გადასაგდებია ყველა ის წესი, რომლებიც
ამზადებდნენ გულებს მის მოსვლაზე.
რაღა საჭიროა ისინი? იგი ხომ აქაა!

5 სექტემბერი

რიგითი XXII კვირა [II], მწ

წმ. დედა ტერეზა კალკუტელი, +1997, მოწყალების
მისიონერ დედათა კონგრეგაციის დამაარსებელი

2020

შ ა ბ ა თ ი

1კორ 4,6-15; ფს 144; ლკ 6,1-5

მე გშობეთ თქვენ ქრისტე იესოში 1კორ 4,15

წმიდა პავლე იძულებულია უსაყვედუროს
კორინთოს ქრისტიანებს ამპარტავნებისა
და ამაოების განწყობისათვის, რაც ხელს
უშლის თანმიმდევრულ ქრისტიანულ
ცხოვრებას. თავი ნუ მოგაქვთ დიდ ვინმედ
და სხვებს ყურს ნუ ათხოვებთ, ეუბნება
მათ; ეს მე შეგიძეხით რწმენაში და
ამგვარად მოგეცით ღვთიური სიცოცხლე,
მოგეცით იესო!

ეზეკ 33,1.7-9; ფს 94; რომ 13,8-10; მთ 18,15-20

თუ გაგიგონებს, შეგიძენია შენი ძმა მთ 18,15

იესო გვასწავლის, როგორ გადავიტანოთ საკრებულოში კრიზისული მდგომარეობები. ყველანი ცოდვილნი არიან და შესაბამისად, მოსალოდნელია უთანხმოებანი. როგორ უნდა მოვიქცეთ ამ დროს? მუდამ სიყვარულით და ჭეშმარიტებით. ცოდვები არ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ, თუ არ გვინდა, რომ მათ გაანადგურონ მორწმუნეთა ერთობა, ანუ, ღვთის ეკლესია. მათ ჩამდენს შესწორება სჭირდება, ნამდვილი მოწყალებით და სიყვარულით ნაკარნახევი გადაწყვეტილებით, მუდამ იმაზე ზრუნვით, რომ არ იჩინოს თავი გაყოფამ.

ორშაბათი

1კორ 5,1-8; ფს 5; ლკ 6,6-11

ჩვენი პასექი, ქრისტე, შეეწირა 1კორ 5,7

უეჭველად ეს ასეა. ეს უეჭველობა გვავალდებულებს წუთისოფელთან შედარებით სხვაგვარად ვიცხოვროთ. უზნეობანი და აღვირახსნილობანი უნდა აღიკვეთოს, თუნდაც ვინმეს ქრისტიანული საკრებულოდან დაშორება გახდეს ამისათვის საჭირო, თუნდაც მისი ეშმაკისთვის გადაცემის გზით. ამგვარად იგი მოინანიებს.

8 სექტემბერი

შობა ნეტარი მარადქალწული მარიამისა
დ, [ს], თ

2020 სამშაბათი

მიქ 5,1-ᲧᲐ ან, რომ 8,28-30; ფს 12; მთ 1,1-16.18-23

ვალეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა;

ბათუმის დიდი კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

დაარქმევ მას სახელად იესოს მთ 1.21

მარიამი იბადება, რათა იყოს ღვთისმშობელი. ამიტომ აღვნიშნავთ მის დაბადებასაც: ღმერთი ერევა წუთისოფელში, მისგან რომ მოელის ხსნასა და ნუგეშს.
და მას მოაქვს ჩვენთვის სწორედაც რომ „ღვთიური ხსნა“: ამგვარად უნდა უწოდოს თავის შვილს (სახელი „იესო“ ამას ნიშნავს). მისგან ვსწავლობთ ამ სახელის წარმოთქმას.

9 სექტემბერი

რიგითი XXIII კვირა [III]

წმ. პეტრე კლავერი, ხუც., +1654

2020 ოთხშაბათი

1კორ 7,25-31; ფს 44; ლკ 6,20-26

მოტირალნი იყავით, როგორც არა მოტირალნი 1კორ 7,30

ვისაც სატირლად აქვს საქმე, ახსოვდეს, რომ ღვთის სიყვარული არსად გამქრალა. თუკი მამას უყვარხარ, რაღა გატირებს? თუკი იესოა მის მარჯვნივ შენთვის, რაღას უჩივი? ნუ დაგავიწყდება, რომ შენი სიცოცხლეა იესო, ის კი მუდამ თავის სიმაღლეზეა, მუდამ. „ნეტარ ხართ თქვენ, ახლა რომ ტირით“, სახალხოდ განაცხადა უფალმა!

ხუთშაბათი

1კორ 8,1-7.11-13; ფს 138; ლკ 6,27-38

ვისაც ღმერთი უყვარს, იგი შეცნობილია მისგან 1კორ 8,3

იოლი მოსალოდნელია, რომ გონებაგამჭ-
რიახი ხალხი გაამპარტავნდეს და ქადილს
მოჰყვეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ღმე-
რთი სიყვარულია და, მაშასადამე, საკუთა-
რი ცოდნით მოქადული გონიერება ძალზე,
ძალზე უვიცია. ღმერთი სიყვარულია და
მას სიყვარული ეკუთვნის. მხოლოდ მას,
ვისაც უყვარს ის, ღმერთი მოიწონებს.
შემიწყალე მე, უფალო იესო!

პარასკევი

1კორ 9,16-19.22-27; ფს 83; ლკ 6,39-42

ყოველივეს ვაკეთებ სახარებისათვის 1კორ 9,23

რას ვიზამ დღეს სახარებისათვის? სასიხარულო ამბის გადასაცემად? თავს შევიკავებ და ძმაზე ცუდს არ ვიფიქრებ, არც აუგს ვიტყვი ვინმეზე. იესო მეუბნება, რომ თვალში დირე მაქვს, რომ ბრმა ვარ ვიდრე თვალიდან არ მოვიშორებ ყოველ ავ ამბიციას და პატივმოყვარეობის ყოველ თივის ღერს.

შ ა ბ ა თ ი

1კორ 10,14-22; ფს 115; ლკ 6,43-49

ყველა ერთი პურიდან ვეზიარებით 1კორ 10,17

შორს კერპებისგან! ასე გვაფრთხილებს წმიდა პავლე. კერპთმსახურება ავ სულებთან გვაკავშირებს, სიცოცხლის მტრებთან. კერპთმსახურება გვხვდება ყოველ ნაბიჯზე წუთისოფელში: ის იწონებს ყველა მანკიერებასა და ცოდვას. მისგან გვიცავს „პური", „კურთხევის" პური, რომელიც თანაზიარებაში გვაკავშირებს მორწმუნეებთან და იმასთან ვინც გვწამს.

13 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირადღე, «ა», [IV], მწ

2020 კვირა

ზირ 27,30 - 28,7; ფს 102; რომ 14,7-9; მთ 18,21-35

სულგრძელი იყავ ჩემს მიმართ და უველაფერს გადაგიხდი მთ 18,26

იესო, სამწუხაროდ ვერ დაგიბრუნებ ყოველივე იმას, რითიც შენ გაამდიდრე ჩემი ცხოვრება, მით უმეტეს ვერ აგინაზღაურებ იმ კეთილ მზერას, რომლითაც მაგრძნობინე რომ ძვირფასი ვიყავი შენთვის. შენთან ვიცხოვრებ, შენთვის ვიცხოვრებ, შევეცდები მივბაძო შენს სულგრძელობას ჩემდამი, ძმების ატანით და მათთვის სიკეთის რაიმე ნიშნის გაწვდენით.

14 სექტემბერი

ჯვართამაღლება, დ, [ს], წ

2020 ორშაბათი

რიცხ 21,4-9 ან, ფილიპ 2,6-11; ფს 77; იო 3,13-17

უნწის საკრებულოს დღეობა

უნდა ამაღლდეს ძე კაცისა იო 3,14

დღეს ზეიმია, რადგან შენი ჯვრის ხეს მივაგენით. ეს მხოლოდ ხეა, მაგრამ ის ჩვენში ცოცხლად ინახავს შენი სიყვარულისა და მამისადმი მიძღვნის ხსოვნას: ეს იდეა როდია, არამედ ხელშესახები სინამდვილე. შენ მართლა აგამაღლეს ჩვენთვის, რათა შენი შემყურენი გავთავისუფლდეთ ცოდვათა შედეგისგან – სიყვარულისა და სიცოცხლის ღმერთთან დაშორებისგან.

სამშაბათი

ებრ 5,7-9; ფს 30; იო 19,25-27 ან, ლკ 2,33-35

არალში შუა ფარეხის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ტანჯვის მეოხებით ისწავლა მორჩილება ებრ 5,8

გუშინ ვუმზირეთ ჯვარზე ამაღლებულ იესოს. დღეს დავაკვირდეთ დედამისს, რომელიც აქვეა და მონაწილეა ამ საიდუმლოში. მანაც მიუძღვნა თავისი შვილი მამას, წერილებში გაცხადებული მარადიული ჩანაფიქრის აღსასრულებლად. მარიამ, დედაო ჩვენო უწმიდესო, გმადლობთ შენ, შენი ტანჯვისათვის და იმისათვის, რომ არაფერი დაზოგე მამის სიყვარულზე დამყოლმა.

ოთხშაბათი

1კორ 12,31 - 13,13; ფს 32; ლკ 7,31-35

მ. მიხეილ თამარაშვილის გახსენება (+1911)

სიყვარული ყოველივეს იტანს 1კორ 13,7

წმიდა პავლეს ამ სიტყვებს, დღეს რომ იკითხება ჰქვია „ღვთიური სიყვარულის საგალობელი“. ესაა ის სიყვარული, რასაც ატარებს ღმერთი ჩვენთან მიმართებაში. როდესაც ვცდილობ მის მიბაძვას, ვცხოვრობ თავად ღვთის სიცოცხლით! რა საოცრებაა! რთული საოცრება, რაკი საამისოდ მჭირდება ატანა..., არადა, იქცევა სიხარულის წყაროდ.

17 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV] მწ

წმ. რობერტ ბელარმინო, ეპ., მოძ., +1621

2020

ხუთშაბათი

1კორ 15,1-11; ფს 117; ლკ 7,36-50

ღვთის მადლით ვარ, რაცა ვარ 1კორ 15,10

ვისწავლოთ მოციქულისგან. ის არ
იქადის, თუმცა არც ითრგუნავს თავს.
ენდობა საკუთარ თავს, არა იმიტომ, რომ
დარწმუნებულია მასში, არამედ, აღიარებს,
რომ მის ცხოვრებაში მამა ღმერთის
სიყვარულია რომ მოქმედებს!

18 სექტემბერი

რიგითი XXIV კვირა [IV] მწ

2020 პარასკევი

1კორ 15,12-20; ფს 16; ლკ 8,1-3

ქრისტე აღდგა მკვდრეთით 1კორ 15,20

ეს ამბავი უნდა გაჟღერდეს ყოვედღე ჩვენს გულებში. თუკი დილით ვდგებით, ეს იმის გამოა, რომ ქრისტე იესო გამოვიდა წყვდიადიდან და დაამარცხა ძილქუში. როდესაც ვიწყებთ ჩვენს საქმიანობას, ვაკეთებთ ამას იმის გამო, რომ ქრისტე იესო ცოცხალია ჩვენს შორის. როდესაც ვხვდებით ადამიანს, გვიყვარს იგი, რადგან იესოა აქ და მოწმობს.

შაბათი

1კორ 15,35-37.42-49; ფს 55; ლკ 8,4-15

არის სულიერი სხეული 1კორ 15,44

ეს სიტყვა ჩვენი გონებისთვის ცოტა
არ იყოს უცნაურად ჟღერს. სიტყვა
'სხეული' გვესმის როგორც კონკრეტული,
ხელშესახები, წონიანი, ხილული. ხოლო
სიტყვა 'სულიერი' აღნიშნავს იმას, რაც
უხილავია და ვერშესახები. რისი თქმა
სურდა წმიდა პავლეს? ჩვენ გვაქვს
უხილავ ღმერთთან ურთიერთობის უნარი.
წარვდგები მასთან ჩემი პირადი სახელით.
ნირვანის არარაობაში როდი დავინთქმები.

20 სექტემბერი

რიგითი XXV კვირადღე, «ა», [I], მწ

2020 კვირა

ეს 55,6-9; ფს 144; ფილიპ 1,20-24.27; მთ 20,1-16

თქვენც წადით ვენახში მთ 20,7

ვენახის პატრონი ყოველ საათს იმეორებს ამ მოწვევას. მას არ სურს უქმად მდგარი ხალხის ხილვა. მან უწყის, რომ მხოლოდ მაშინ, როცა მასთან ერთად და მისთვის შრომობს ადამიანი, ახორციელებს საკუთარ ცხოვრებას. ყველასათვის აქვს არა გასამრჯელო, არამედ ჯილდო, ყველასათვის ერთნაირი. იგავში არაა ისე, როგორც სინამდვილეში ხდება: სინამდვილეში ჯილდო არის მასთან თანაზიარების მშვენიერება და სიმდიდრე. ეს კი, ვერც შემცირდება და ვერც გაორმაგდება!

21 სექტემბერი

2020

წმ. მათე,
მოციქული და მახარებელი, დ, [ს], წ

ორშაბათი

ეფ 4,1-7.11-13; ფს 18; მთ 9,9-13

ისიც წამოდგა და გაჰყვა მას მთ 9,9

მათე ისმენს იესოს ხმას. ისმენს მას ნამდვილად. მიატოვებს სამსახურს და მასთან დაკავშირებულ გეგმებს, ტოვებს კოლეგებსა და მეგობრებს, და იესოსთან იწყებს ცხოვრებას. აღმოჩნდება უკვე არსებულ მოწაფეთა ჯგუფში, იტანს მათ და მასაც იტანენ. იესოსთან ყოფნის სიხარული და სხვებთან ყოფნის ტვირთი ერთმანეთში ირევა. წმიდაო მათე, მეც მიმეგზურე ჩემს გზაზე მოძღვართან და უფალთან ერთად!

სამშაბათი

იგ 21,1-6.10-13; ფს 118; ლკ 8,19-21

უფალი სწონის გულებს იგ 21,2

ადამიანს არ შესწევს ძალა, დაინახოს რა ხდება სხვა ადამიანების გულის სიღრმეში, არც საკუთარში. ამიტომ გათავისუფლებულნი ვართ ადამიანთა განსჯის დავალებისაგან, რასაც ხშირად ვეპოტინებით ხოლმე. მაშ, ნუ განვსჯით მათ, ნურც ავად, ნურც კარგად. ღვთიური სიყვარულით ვუმზიროთ, რის უნარსაც იგი მოგვანიჭებს.

ოთხშაბათი

იგ 30,5-9; ფს 118; ლკ 9,1-6

ფარია ის მასზე დანდობილისათვის იგ 30,5

ღმერთს შევთხოვოთ მფარველობა, არამხოლოდ იმათგან, ვინც ბოროტებას გვიმზადებს, არამედ საკუთარი თავისგანაც. ეს ჩვენს გულებშია რომ იჩენს თავს სიცრუე და სიხარბე, ესენი კი სიცოცხლეს გვისპობენ. უპოვარობა მადლია, დაცულობაა, სანატრელი რამაა. იესო თავისიანებს ურჩევს მას, ცათა სასუფევლის მქადაგებლებს: უპოვარნი რომ არ იყვნენ ისინი, არავინ დაუჯერებდა მათ.

ხუთშაბათი

ეკლ 1,2-11; ფს 89; ლკ 9,7-9

ამაოებათა ამაოება, ყოველივე ამაოებაა ეკლ 1,2

რა თქმა უნდა, ყოველივე ამაოებაა. ის რეალობები რომლებიც აბსოლუტურობაზე აცხადებენ პრეტენზიას ჩვენს ცხოვრებაში, უსარგებლო ამაოებად ვლინდება. მავნეც კია, რადგან არსებითს გვავიწყებენ. თუმცა, მას შემდეგ, რაც იესო მოვიდა ყოველივე მისგან ღებულობს მნიშვნელობასა და ღირებულებას. როდესაც რაიმეს ვაკეთებ მისთვის, ეს ქმედება იქცევა ძვირფას ლოდად მისი სასუფევლის მშენებლობაში.

პარასკევი

ეკლ 3,1-11; ფს 143; ლკ 9,18-22

ყოველივე მშვენივრად შექმნა თავის ჟამს ეკლ 3,11

ეკლესიასტეს წიგნი, მიუხედავად მისი პესიმიზმისა, ამჩნევს ღვთის მშვენიერებას, და იმ მშვენიერებასაც, თავის ქმნილებას რომ უბოძა მან. ამისათვის გვსურს ვაქოდ და ვაკურთხოთ იგი და არ ავყვებით ჩივილისა და რაიმეს ათვალწუნების ცდუნებას.

26 სექტემბერი

2020

რიგითი XXV კვირა [I]
წმ. დიდმოწამე ქეთევანი, წამ., +1624 (მ) წ;
წმმ. კოზმა და დამიანე, წამ., +IVს;
ნ. ლუიჯი ტეცა, +1923,
წმ. კამილოს ასულთა კონგრეგაციის დამაარსებელი

შ ა ბ ა თ ი

ეკლ 11,9 - 12,8; ფს 89; ლკ 9,43-45

მოიშორე მწუხარება შენი გულიდან ეკლ 11,10

რა მშვენიერი რჩევაა! კი მაგრამ როგორ? თავად ეკლესიასტე გვიჩვენებს ერთ გზას: „გახსოვდეს შენი შემოქმედი შენი სიყმაწვილის დღეებში“: დიახ, გახსოვდეს ღვთის სიყვარული, ესაა იმედიანად და სიხარულში ცხოვრების საიდუმლო გასაღები სიყმაწვილიდანვე.

27 სექტემბერი

რიგითი XXVI კვირადღე, «ა», [II], მწ

2020 კვირა

ეზეკ 18,25-28; ფს 24; ფილიპ 2,1-11; მთ 21,28-32

მებაჟეები და მეძავები თქვენზე წინ შევლენ ღვთის სასუფეველში მთ 21,31

ტაძრის მღვდელმთავრები დარწმუნებულნი არიან, რომ ღვთისათვის სათნო რომ იყო, კმარა იყო ებრაელი და ასრულებდე რჯულს. არადა, ასე როდია. თუკი არ გიყვარს ღმერთი, არ იზიარებ მის გულმოწყალებას იმათ მიმართ, ვისაც გზა არევია, ვერ იქნები მის გულში. მივბაძავ ჩემს ღმერთს მოყვასის შეყვარებით!

28 სექტემბერი

2020

რიგითი XXVI კვირა [II] მწ

(15.IX) წმ. აბბა იოსებ ალავერდელი, აბატი და ეპ., +570;
წმ. ვიჩესლავი, წამ., +935;
წმმ. ლავრენტი რუის და მეგ., წამ., +1633-37

ორშაბათი

იობ 1,6-22; ფს 16; ლკ 9,46-50

ვინც თქვენს შორის უმცირესია, ის არის დიდი ლკ 9,48

გაოგნებულნი დარჩნენ უფლის მოწაფენი. მთელი ძალებით შრომობდნენ იმის გასარკვევად, თუ რომელ მათგანს ეკუთვნოდა პირველი ადგილი. იესომ კი ბავშვი წარუდგინა მათ: იგი დიდია, რადგან ყველას ყურადღებას იპყრობს. დიდი ხარ შენც, როდესაც კმაყოფილი ხარ შენი სიმცირით!

29 სექტემბერი

2020

წმმ. მიქაელ, გაბრიელ და რაფაელ მთავარანგელოსნი, დ, [ს], თ

(16.IX) წმ. მოწამენი ისააკი და იოსებ, კარნუ-ქალაქში წამებულნი, +808

სამშაბათი

დან 7,9-10.13-14 ან, გამოცხ 12,7-12; ფს 137; იო 1,47-51

შენ გწამს? ამაზე მეტსაც იხილავ

იო 1,50

იესო უცხადებს მოწაფეებს, რომ იმ დიად მოვლენათა შორის, რაც მოხდება მის მათთან ყოფნისას, ესეცაა: „იხილავთ გახსნილ ცას და კაცის ძეზე აღმავალ და დაღმავალ ანგელოზებს“. დღეს სწორედ ამ ანგელოზების დღესასწაულია, მისით რომ არიან დაკავებულნი: აუწყებენ მას, ემსახურებიან, იცავენ მის მოწაფეებს ყველა გარემოებაში. მადლობას ვუძღვნით მამას, რაკი ისინი, უხილავნი, თუმცა აქამყოფნი, საშუალებას გვაძლევენ, ვიცხოვროთ მშვიდობით.

30 სექტემბერი
2020
რიგითი XXVI კვირა [II]
წმ. იერონიმე, ხუც. და მოძ., +420 (მ) თ

ოთხშაბათი

იობ 9,1-12.14-16; ფს 87; ლკ 9,57-62

ვინმეს რომ ღმერთთან კამათი მოენდომებინა, ათასში ერთზეც ვერ გასცემდა პასუხს იობ 9,3

იობი პასუხობს მეგობრებს, თავისი მშვენიერი რწმენით. მან უწყის, რომ ღმერთი ბრძენია, ჩვენზე მეტად, და უწყის ყოველივეს მიზეზებს ჩვენზე უკეთ. ამის გამო, ჩვენ შეგვიძლია ვენდოთ მას და მივენდოთ მის სიყვარულში დაეჭვების გარეშე.